ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/06

დაბა ქედა, 12 ივნისი, 2020 წელი

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 11:50 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
უშანგი დუმბაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ მანველიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე;
კარლო თურმანიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;
ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;
გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;
თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;
ბაქარ ბარამიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/06 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

12 ივნისი 2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	კარლო თურმანიძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
14	ბაქარ ბარამიძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
15	უშანგი დუმბაძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
16	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
17	ამირან ცინცაძე	საკრებულოს წევრი	
18	ბადრი შავლიძე	საკრებულოს წევრი	
19	ოთარ ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	ზურაბ თავდგირიძე	საკრებულოს წევრი	
21	თემურ ავალიანი	საკრებულოს წევრი	
22	რამინ ბერიძე	საკრებულოს წევრი	
23	გენადი არძენაძე	საკრებულოს წევრი	
24	გოჩა გათენაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 ივნისის №01-06/06 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10-ე დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

დღის წესრიგის დამტკიცებამდე საკრებულოს წევრმა თემურ ავალიანმა სოფელ დანადალოში არსებული წყლის მიწოდების პრობლემის თაობაზე ისაუბრა. მისი თქმით, საკითხი ერთ-ერთ სხდომაზეც დაყენებული ჰქონდა, დამატებით სიძნელეებს ქმნის ზაფხულისა და პანდემიის დროს აღნიშნული პრობლემის არსებობა მოსახლეობაში, ამიტომ ითხოვა საკითხზე ყურადღების გამახვილება და წყლის პრობლემის გადაჭრა.

საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ აღნიშნა - ,,პრობლემა ჩვენი ყურადღების მიღმა ნამდვილად არაა, აღნიშნულ საკითხზე გუშინ ქედის მუნიციპალიტეტის მერთან, მერის პირველ მოადგილესთან და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსთან შეხვედრაც მქონდა, სადაც საუბარი იყო, რომ შემჭიდროვებულ ვადებში უნდა გამოცხადდეს დაჩქარებული ტენდერი. ამჟამად აღნიშნულ პროექტზე მუშაობა აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს, ამასთანავე მთავრობის მიერაც მოთხოვნილია პოექტთა სია, რომლის გადაგზავნაც ხორციელდება. შესაბამისად, ამ საკითხზე ყურადღება გამახვილდება მთავრობის დონეზე“.

სხდომის თავმჯოდმარეს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ მიმართა - ,,პატივცემულო თავმჯდომარევ, მოგეხსენებათ, რომ საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით 1 მარტამდე ქედის მუნიციპალიტეტის მერი ვალდებული იყო წარმოედგინა გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, მაინტერესებს რატომ არ იქნა ანგარიშის წარომდგენა 1 მარტამდე, აგრეთვე მეორე საკითხი - სახელმწიფოს მიერ პანდემიის დროს უმუშევრად დარჩენილ თვითდასაქმებულებზე გასაცემი კომპენსაცია მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ მიუღია და ხომ ვერ გვეტყვით რა არის მიზეზი? რატომ არ ერიცხებათ და ბოლოს მაინტერესებს სოფლის მეურნეობის პროგრამით გათვალისწინებული 200 ლარიან ვაუჩერის შესახებ, ჯამში 2500 კვ.მ ფართობზე მეტი მიწის ნაკვეთების მფლობელი მოქალაქეები, რომლებსაც ეს მიწა დანაწევრებული აქვთ და თითოეული ნაკლებია 2500 კვ.მ-ზე, ვერ ღებულობენ ვაუჩერებს, შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის მცირემიწიანობის გათვალისწინებით მოქალაქეთა უმეტესი ნაწილი ვერ მიიღებს ამ პროგრამით გათვალისწინებულ სიკეთეებს, ამიტომ მიზანშეწონილია აჭარის ა.რ მთავრობისა და საქართველოს მთავრობის წინაშე დაისვას საკითხი ამ პრობლემის მოსაგვარებლად”.

დასმულ საკითხებზე საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ მოახსენა, რომ ,,მერის ანგარიშის წარმოდგენა კორონავირუსის პრევენციის გამო გადაიდო, თუმცა უახლოეს პერიოდში წარმოდგენილი იქნება. მაგრამ ვთვლი მოგვიანებით, საერთოდაც ნოემბრის თვეში, რომ მოვისმინოთ მთლიანი წლის გაწეული საქმიანობის ანგარიში უფრო უკეთესი იქნება. რაც შეეხება, სახელმწიფოს მიერ პანდემიის დროს უმუშევრად დარჩენილ თვითდასაქმებულებზე გასაცემ კომპენსაციას, სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომპენსაციის მიმღებმა თვითონვე უნდა დარეგისტრირდეს სპეციალურ საიტზე, სადაც ავსებენ თავიანთ მონაცემებს და შემდეგ ხდება სიების გადამოწმება-კომპენსაციის გაცემა.

ამიტომ ჩვენს კომპეტენციას არ განეკუთვნება ეს საკითხი, თუმცა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, რომ უკვე დაერიცხა დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რადგან მასიურად გვიწევდა შექმნილი საჭიროებიდან გამომდინარე მოსახლეობასთან მისვლა მათი პრობლემების გასაცნობად და ერთჯერადი სასურსათო კალათების გადასაცემად, სადაც მოქალაქეების თქმით დაერიცხათ სახელწიფო კომპენსაციები".

მიწის ნაკვეთების თაობაზე შუქრი თურმანიძემ ვაჟა ბოლქვაძეს განუმარტა, რომ ცალკ-ცალკე ნაკვეთების მფლობელებს ეძლევათ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ვაუჩერები, თუმცა მიწის ფართობი უნდა აღემატებოდეს 2500 კვ.მ-ს.

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 ივნისის №01-06/06 მორიგი სხდომის წარმოდგენილი დღის-წესრიგი შემდეგი სახით

1. მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10-ე დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი (შემოსული დოკუმენტი №45/04 09.06.2020 წ.):

ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი წარმოადგინა რეესტრის სახით:

ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი				
№	პროგრამული კოდი	**დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა**	**თანხა +/-**	**შენიშვნა**
1	02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	70700	
2	04 01 02 01	ახოს ბაგა-ბაღის რემონტი	500	
ჯამი			71200	

№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	02 01 04	სოფელ დოლოგანთან დუმბაძეების უბანში, მდინარე აჭარისწყალზე საავტომობილო ხიდის მშენებლობა	8100	
2	02 03 03 01	დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა	22600	
3	02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა	40500	
ასიგნებების ჯამი			71,200	X
ს ხ ვ ა ო ბ ა			0	X

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ იკითხა, ცვლილებათა რეესტრში შიდა სასოფლო-სამეურნეო გზების რეაბილიტაციაზე არსებული 70700 ლარი ეკონომიას წარმოადგენდა, თუ რომელიმე პროექტიდან იქნა ამოღებული? აღნიშნულზე მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ უპასუხა, რომ შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია ამჟამად აქტურად მიმდინარეობს, ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომია კი მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

საკრებულოს წევრმა ზურაბ თავდგირიძემ ისაუბრა სოფელ ჭალახმელას ხიდთან მისასვლელი გზის თაობაზე, ასევე აღნიშნა, რომ ნამდვილად საამაყო და სამადლობელოა ხიდის მშენებლობის დასრულება, თუმცა საყურადღებოა ხიდამდე მისასვლელი გზა, რადგან სავალი გზა მდინარის ნაპირია, აჭარისწყლის ადიდება კი ქმნის საშიშროებას, ამიტომ ითხოვა აღნიშნულ ხიდთან მისასვლელი გზა გაბიონით ან ლოდებით იქნას გამაგრებული.

საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მიზანშეწონილია აღნიშნული გზის გამაგრება და თხოვა ზურაბ თავდგირიძეს საკრებულოს სახელით წერილობით მიემართა ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის პრობლემის ეფექტურად გადაჭრის მიზნით.

აღნიშნულ საკითხზე სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 1 (ვაჟა ბოლქვაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილებ №16).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ 11:50 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შუქრი თურმანიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში ნონა ბერიძე